სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 თებერვალი 2024

N 21/1860

შპს „ნაზის“ (ს/კ 430033206)

ელ. ფოსტა: giorkhelidze95@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 8 თებერვლის N1278 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვალითში საქონლის სასაკლაოს ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- **სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ „სასაკლაოს ოპერირებით მდინარის დაბინძურება გამორიცხულია, ვინაიდან საწარმოო ჩამდინარე წყლის ჩაშვება ხორციელდება სამსაფეხურიან სალექარში, საიდანაც ჩამდინარე წყალი გადადის კვალითის დასახლების საერთო სარგებლობის ცენტრალურ შემკრებ საკანალიზაციო ჭაში, რომლიდანაც ხორციელდება ჩამდინარე წყლის ჩაშვება წყალარინების სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს დასაშვებ ნორმამდე გაწმენდას". აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დასაბუთებას, რადგან სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით, 2024 წლის 18 იანვარს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა საქმიანობის განხორციელების ადგილზე, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი, კერძოდ, სასაკლაოს ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყალი ჩაედინება მდინარე ყვირილაში. საწარმოდან ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. ყვირილაში) ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია 18,6-ჯერ აღემატება დადგენილ ნორმებს;**
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ინფორმაცია გარემოსდაცვითი კუთხით შემოთავაზებული, როგორც ტექნოლოგიური, ისე ადგილმდებარეობის გონივრული ალტერნატივების შესახებ, ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზით, მათ შორის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით;
- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, მსხვილფეხა საქონელთან ერთად, ობიექტზე ხდება ხბოების და ღორების დაკვლა. იმის გათვალისწინებით, რომ სკოპინგის ანგარიშში აღწერილია მხოლოდ რქოსანი პირუტყვის (ძროხების) დაკვლის ტექნოლოგიური პროცესი, სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციით ნაკელი გროვდება ნაკელსაცავში და შემდგომ, როგორც

„საუკეთესო სასუქი” გამოიყენება ადგილობრივ საყანე ფართობებში. სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას და დასაბუთებას საჭიროებს დასაკლავი ცხოველების ექსკრემენტების მართვის საკითხები, მათ შორის ღორის ექსკრემენტების სასუქად გამოყენების მიზანშეწონილობა;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაკვლის უბანზე წარმოქმნილი სისხლის შეგროვება ხდება სპეციალურ კონტეინერში, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა ფიზიკურ პირს შესაბამისი მოხმარების მიზნით. დაზუსტებას საჭიროებს სისხლის გამოყენების მიზნობრიობისა და მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმაცია;
- გვ.7-ზე წარმოდგენილი ნახაზი „გენ-გეგმა“ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმას. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ცხოველთა სასაკლაოს გენერალური გემა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სალექარში დაჭერილი შლამების, ცხიმების და დაკლული საქონლის გაშიგვნის შემდეგ წარმოქმნილ მყარი ცხოველური ნარჩენების, მათ შორის, ჩლიქებისა და ბეწვის ტერიტორიიდან გატანა შემდგომი მართვის მიზნით ხორციელდება შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშში გვ. 118-120-ზე წარმოდგენილი დანართები არ ასახავს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ შეთანხმებას, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- „სუნის გავრცელების პრევენციის მიზნით, გამოყენებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებით (HACP) გათვალისწინებული სადეზინფექციო საშუალებები. HACP-ის სტანდარტები იძლევა იმის გარანტიას, რომ საწარმოო ციკლი იქნება დახურული და საქმიანობა შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების შედეგად უსიამოვნო სუნის გავრცელებასთან ნაკლებად იქნება დაკავშირებული”. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო